

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2022 წელი

**ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, კონსტანტინე ცუცქერიძის ქუჩის მონაკვეთისთვის და იორის შესახვევის მონაკვეთისთვის არქიტექტორის გიგა ბათიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, კონსტანტინე ცუცქერიძის ქუჩის მონაკვეთს და იორის შესახვევის მონაკვეთს მიენიჭოს არქიტექტორის გიგა ბათიაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



## გიგა ბათიაშვილი

(1934 \_ 2021)

არქიტექტორი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არქიტექტურის კანდიდატი, პროფესორი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიკოსი

1958 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. 1967 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სამხატვრო აკადემიაში. 1973–1979 წლებში იყო ტექნიკის ესთეტიკის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მთავარი მხატვარი და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1978 წლიდან ხელმძღვანელობს საპროექტო ინსტიტუტის "თბილქალაქპროექტის" თბილისის სახელმწიფო დაცვითი ზონის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის სპეციალური არქიტექტურის სახელოსნოს. არჩეულია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრად (1980-1992 მდივანი), რუსეთის არქიტექტურისა და სამშენებლო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი (1994). ბათიაშვილი ავტორია სამეცნიერო გამოკვლევებისა ისტორიული ქალაქების აღდგენა-განაშენიანების დარგში. ძირითადი ნამუშევრებია: თბილისის მეტროპოლიტენის სადგური "300 არაგველი" (1967; მოქანდაკე თეიმურაზ გიგაური, მხატვარი გივი გიგაური), თბილისის ფუნქციულიორის ქვედა სადგური (1970-1971; თანაავტორები: არქიტექტორი ტ. ქუთათელაძე, მხატვარი ვ. ქოქიაშვილი), იტალიელთა წინააღმდეგობის მოძრაობის გმირთა მემორიალი პერეზაში (ქ. არონის მახლობლად, იტალია, 1972; მოქანდაკე თეიმურაზ გიგაური), თბილისის ისტორიული უბნების — შარდენის ქუჩის, ბამბის და

რკინის რიგების, კონსტანტინე ლესელიძისა და დუტუ მეგრელის ქუჩების, ღვინის აღმართის, ქარვასლის, სიონის ტაძრის მიმდებარე ტერიტორია და ორბელიანთ უბნის განაშენიანების რეკონსტრუქცია-რეგენერაცია (1979-1989), ძველი თბილისის ცალკეული შენობები. ბათიაშვილი ავტორია „მეიდნის“, ქეთევან წამებულის პროსპექტისა და ბარათაშვილის აღმართის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის პროექტებისა თბილისის ისტორიულ უბნებში. თბილისის ისტორიული ნაწილის ქალაქთმშენებლობითი გარემოს ორგანიზაციისათვის 1985 მიენიჭა საერთაშორისო არქიტექტორთა კავშირის პრემია, ხოლო 1987 — სსრკ სახელმწიფო პრემია (შოთა ყავლაშვილთან ერთად). მიღებული აქვს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჯილდო — სამკერდე ჯვარი (1983).



საქართველო. თბილისი  
თბილისი მაჩაბლის ქ. 2/4  
2/4 Machabeli st. Tbilisi, Georgia  
ტელ: 593 98 16 77.  
EMAIL: shemoqmedeli@gmail.com

#7-----

7 თებერვალი. 2022 წელი.

ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, გიორგი ტყემალაძეს!

ბატონო, გიორგი,

შემოვდივართ წინადადებით, რომ ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ქართული არქიტექტურის კლასიკოსის, თბილისის საპატიო მოქალაქის, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსის, აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურის აკადემიის, საქართველოს საინჟინრო და სხვა აკადემიების აკადემიკოსის, რუსეთის არქიტექტურისა და სამშენებლო მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრის, სახელმწიფო და სხვა პრემიების ლაურეატის, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახ. სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანოსი პროფესორის, სტუდენტთა არაერთი თაობის აღმზრდელის, ძველი თბილისის აღდგენა-რეგენერაციის პროექტის ავტორისა და განმხორციელებლის **გიგა ბათიაშვილის** სახელი.

პატივისცემით,

სრულიად საქართველოს რუსთაველის  
საზოგადოების პრეზიდენტი  
ქართული კულტურის დესპანი  
დავით აღმაშენებლისა და გალაკტიონ ტაბიძის  
პრემიების ლაურეატი



/დავით შემოქმედელი/

ტყემალაძე